შპს "საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრი"
LTD "THE SCIENTIFIC CENTER OF ENGINEERING BUILDING DESIGNING RESEARCH AND EXPERTISE"
ტელ: 577588218 599179823; (032) 2227704
E-mail: d.tabatadze@gtu.ge

ვამტკიცებ,
დირექტორი:

"07" მაისი 2021 წელი _____ *დემური ტაბატაძე*
/ხელმოწერა, ბ.ა/ */სახელი გვარი/*

ექსპერტიზის დასკვნა

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	სს „პოკრედიტ ბანკი". ს.კ. 204851197 რუბენ კაზაროვი
დასკვნის შედგენის საფუძველი:	2021 წლის „05" მაისის ხელშეკრულება
ექსპერტიზის ობიექტი:	ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №3-ში მდებარე სს „პროკრედიტბანკი"-ს სასაწყობე (საარქივო) შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი
ექსპერტიზის ამოცანა:	ექსპერტიზის ობიექტის – პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა – ნორმატიულ ლიტერატურაში მითითებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა

თბილისი
2021 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებელი 3
2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
3. წარმოდგენილი მასალები 3
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 6



ინსპექტირების შემსრულებელი

დემური ტაბატაძე – განათლება უმაღლესი, კვალიფიკაცია: ინჟინერ-მშენებელი, ტექნ. მეცნ. კანდიდატი მშენებლობის დარგში, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის კათედრის პროფესორი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საინჟინრო აკადემიიის აკადემიკოსი, მუშაობის სტაჟი – 43 წელი.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის №71 დადგენილება – „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:
   - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5).
- СНиП 2.02.01-83 основания зданий и сооружений, 1983 г.;
- СНиП 2.03.01-84* „Бетонные и железобетонные конструкции“. М. 1988 г;
- СниП 2.01.07-85 „Нагрузки и воздействия. Нормы проектирования“;
- СНиП II-25-80 „ხის კონსტრუქციები“;
- СНиП II-26-76 „სახურავები“.

წარმოდგენილი მასალები

1. ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №3-ში მდებარე სს „პროკრედიტბანკი“-ს სასაწყობე (საარქივო) შენობის პროექტი, კონსტრუქციული ნაწილი – ელ.ვერსია PDF-ფაილში.

კვლევითი ნაწილი

შესავალი

ექსპერტის ამოცანას წარმოადგენს:

დამკვეთის მიერ წამოდგენილი: ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №3-ში მდებარე სს „პროკრედიტბანკი“-ს სასაწყობე (საარქივო) შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით აშენებული შენობა რამდენად მოახდენს ზეგავლენას არსებულ შენობებზე.

კვლევა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია სს „პროკრედიტ ბანკი“-ს დაკვეთით დაპროექტებული (მთავარი კონსტრუქტორი ბ. სურგულაძე, შეასრულა ლ. კვირიკაშვილი) „ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №3-ში მდებარე სს „პროკრედიტბანკი“-ს სასაწყობე (საარქივო) შენობა“-ს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია 2021 წელს.

პროექტი წარმოდგენილია A-3 ფორმატის PDF-ფაილის ალბომის სახით 14 ფურცელზე. ალბომში წარმოდგენილი ნახაზები გრაფიკულად შესრულებულია მაღალ-კვალიფიციურ დონეზე დეტალურად, გამოხაზულია ყველა კონსტრუქციული დეტალის გეგმა, კვანძი, ჭრილი და კვეთი, მათ შორის:

- თავფურცელი
- განმარტებითი ბარათი, ნახაზების ჩამონათვალი – კ-1
- მასალის ჯამური სპეციფიკაცია – კ-1ა
- რკინაბეტონის საძირკვლის გეგმა – კ2
- ხის იატაკისა და ხის სვეტების განლაგების გეგმა ±0.000 ნიშნულზე – კ-3
- ლს-1 კვეთები 1-1, 1ა-1ა, 2-2, 3-3, 4-4, ა-ა – კ-4
- საკონტაქტო დეტალები, ჩასატანებელი დეტალი-1, კვეთები და მასალის სპეციფიკაცია – კ-5
- ხის მზიდი კოჭებისა და ნივნივების განლაგების გეგმა +3.400 ნიშნულზე – კ-6
- ხის მზიდი კოჭებსა და სახურავის ნივნივების განლაგების გეგმა – კ-7
- კვეთები 1-1, ა-ა – კ-8
- კვეთი 2-2 – კ-9
- კვეთი 3-3 – კ-10
- კვეთი 4-4 – კ-11
- კვანძები და მასალის სპეციფიკაცია – კ-12

პროექტი წარმოადგენს სს „პროკრედიტ ბანკი“-ს დაკვეთით შესრულებული სასაწყო (საარქივო) შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს. საპროექტო შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომები ღერძებს შორის შეადგენს 13.0×9.4 მ-ს. შენობა ერთსართულიანია, სართულის სიმაღლე 3.2 მ-ს შეადგენს იატაკის ზედაპირიდან ჭერამდე. შენობის საძირკველი გადაწყვეტილია რკინაბეტონის ლენტურ-წერტილოვანი სახით, ქვაბულის ჩაღრმავება ±0.000 ნიშულიდან 1.2 მ-ია, მიწის ზედაპირიდან კი – 0.6 მ-ით. საძირკვლის ძირის ნიშნული -1.2 მ-ია და მის ქვემოთ მოწყობილია გრუნტში ჩატკეპნილი ღორღის ფენა. შენობის ±0.000 ნიშნული შეესაბამება იატაკის ზედაპირს. კონსტრუქციული სიმაღლე საძირკვლის ძირიდან სახურავის კეხის უმაღლეს წერტილამდე 5.1 მ-ია, აქედან ±0.000 ნიშნულის ქვემოთ განთავსებულია 1.2 მ, ხოლო ზემოთ 3.9 მ-ია. გადახურვა შესრულებულია ხის კონსტრუქციებით, იგი ერთქანობიანია და დაფარულია საბურულე საფარით.

შენობის დაფუძნება განხორციელდება ფენა-2 – თიხნარი. შენობის საძირკველი, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშში ასახული მონაცემების საფუძველზე მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის ლენტურ-წერტილოვანი, ბეტონით B20. საძირკვლის ქვემოთ მოწყობილია ღორღის ფენა.

შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტისათვის აღებულია საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული ზემოქმედების მონაცემები:

- თოვლის ნორმატიული დატვირთვა – 0.50 კპა; (დაპროექტების ნორმები „სამშენებლო კლიმატოლოგია“ – პნ 01.05-08, ცხრილი 17)
- ქარის ნორმატიული ჩქაროსნული დატვირთვა – 0.85 კპა; (დაპროექტების ნორმები „სამშენებლო კლიმატოლოგია“ – პნ 01.05-08, ცხრილი 18)

კონსტრუქციულად შენობა წარმოადგენს რკინაბეტონის ლენტურ-წერტილოვან საძირკველზე მოწყობილ ხის მასალის ზედნაშენს. მალები რეგულარულია შენობის მოკლე მიმართულებით და შეადგენს 1567 მმ-ს, გრძელი მმართულებით კი საშუალოდ 2066 მმ-ია, განივი მიმართულებით 4.85 მ, რომლის მზიდ ელემენტებს შეადგენს:

- ხის ძელები (სვეტები) – 150×150 მმ, 100×150 მმ; 100×200 მმ
- ხის კოჭები (გადახურვის) – 100×200 მმ

შენობის რკინაბეტონის ელემენტებში გამოყენებულია არმატურა AIII Ø16 მმ დიამეტრით, AI – Ø8 მმ დიამეტრით. ბეტონი კლასით B25.

შენობის მზიდი კოსტრუქციებისათვის გამოყენებულია ხის მასალა საანგარიო წინაღობით R=100 კგ/სმ^2. სვეტებად გამოყენებულია ხის ძელაკები b×h – 150×150 100×150 100×200 მმ ზომებით. გადახურვის კონსტრუქციები შესრულებულია

ასევე ხის ძელაკებით ზომით b×h=100×200 მმ და მაკავშირებელი ცვლადი სიმაღლის ძელაკებით. სარტყელები ერთმანეთთან დაკავშირებულია ფოლადის ფურცლოვანებით სისქით t=6 მმ. ფოლადის მაკავშირებელ ელემენტებად ასევე გამოყენებულია ჭანჭიკი M10. იატაკის, ჭერისა და სახურავის კოჭებად გამოყენებულია b×h=100×200 მმ ხის ძელაკები. ფასადის კედლები შეფიცრულია t=15 მმ პანელებით, როგორც გარედან ასევე შიგა მხრიდან. ანალოგიურად შესრულდება სახურავის შეფიცვრაც.

წარმოდგენილია ზოგადი მითითებები, რაც ითვალისწინებს შენობის ჩონჩხედის ამგები ელემენტების ნამზადის გაჟღენთას ანტისეპტიკით და მონტაჟამდე ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით დაფარვას. მონტაჟის შემდგომ კი ხანძარსაწინააღმდეგო საღებავით შეღებვას.

პროექტი დამუშავებულია ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით და შესაბამისად.

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი: „ქ. თბილისში, გაგრის ქუჩა №3-ში მდებარე სს „პროკრედიტბანკი“-ს სასაწყობე შენობა“-ს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია მაღალ-კვალიფიციურ და პროფესიულ დონეზე და ეძლევა დადებითი შეფასება.

ამ პროექტით აშენებული შენობა არანაირ საფრთხეს არ უქმნის არსებულ შენობებს.

კვლევის ანგარიში შეადგინა:
ექსპერტი: /დ. ტაბატაძე/

დემურ ტაბატაძე

პერსონალური ინფორმაცია



სახელი გვარი:	**დემურ ტაბატაძე**
დაბ. თარიღი:	1949-07-23
სქესი:	მამრობითი
მოქალაქეობა:	საქართველო
მისამართი:	ი.აბაშიძის 41 ბინა 17
ტელეფონი:	577588358
ელ-ფოსტა:	d.tabatadze.@gtu.ge

განათლება

აკადემიური ხარისხი:	დოქტორი/დოქტორთან გათანაბრებული
საგანმანათლებლო დაწესებულება:	ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი
კვალიფიკაცია:	სამშენებლო მექანიკა
მინიჭების თარიღი:	1983-10-28
ქვეყანა:	საქართველო

აკადემიური ხარისხი:	მაგისტრი/მაგისტრთან გათანაბრებული
საგანმანათლებლო დაწესებულება:	ვ.ი.ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი
კვალიფიკაცია:	სამშენებლო მექანიკა
მინიჭების თარიღი:	1971-06-10
ქვეყანა:	საქართველო

სამუშაო გამოცდილება

ორგანიზაცია:	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სტრუქტურული ერთეული:	სამშენებლო ფაკულტეტი
თანამდებობა:	პროფესორი
მუშაობის დაწყების თარიღი:	1992-05-20
მუშაობის დასრულების თარიღი:	2021-11-08

ორგანიზაცია:	საქ.მეცნ.აკადემია კ.ზავრიევის სამშენებლო მექანიკის ინსტიტუტი
სტრუქტურული ერთეული:	მექანიკის განყოფილება
თანამდებობა:	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
მუშაობის დაწყების თარიღი:	1992-05-20
მუშაობის დასრულების თარიღი:	2010-10-09

ორგანიზაცია:	საქ.მეცნ.აკადემია ა.რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

სტრუქტურული ერთეული:	მექანიკის განყოფილება
თანამდებობა:	უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
მუშაობის დაწყების თარიღი:	1971-01-08
მუშაობის დასრულების თარიღი:	1992-05-20

პროფესიული გამოცდილება

კვლევის საგანი: გარსების ოპტიმალური გაანგარიშების საკითხები, აგრეთვე მანქანათა სამშენებლო მექანიკის სპეციალური ამოცანები..ნაგებობათა ზიდვის უნარის დადგენა ტოლიწინაღობის ნაგებობათა პროექტირება ოპტიმალური პროექტირება სიხისტის და სიმტკიცის პირობების გათვალისწინებით წყვეტილმახასიათებლიანი ფილებისა და გარსების გაანგარიშების ვარიანტებ,იუჭრი შეუღლებული კონსტრუქციების გაანგარიშება არადრეკადი გარსების თეორია, ფირფიტებისა და გარსების ოპტიმალური გაანგარიშების საკითხები, აგრეთვე მანქანათა სამშენებლო მექანიკის სპეციალური ამოცანები. შრომებში განხილულია წყვეტილი მახასიათებლების მქონე ფილებისა და გარსების გაანგარიშებისა და ოპტიმალურად დაგეგმარების საკითხები; დრეკად-პლასტიკური სისტემების და ანაკრები კონსტრუქციების ზიდვის უნარის განსაზღვრა; დრეკადობის თეორიის ზოგიერთი სივრცითი ამოცანის ზუსტი გადაწყვეტის საკითხები.

სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენს ნაკლებად გამოკვლეული საინჟინრო ამოცანები, რომლებიც ეხებიან ანაკრები ბრუნვითი გარსების გაანგარიშებას, რომელთა ზოგიერთი ფიზიკური და გეომეტრიული პარამეტრები ნახტომისებურად იცვლებიან.. აღნიშნული საკითხების გადასწყვეტად დემურ ტაბატაძე აკადემიკოს შალვა მიქელაძის მიერ წყვეტილი ამოხსნების კონსტრუირების მათემატიკურ აპარატს იყენებს.

კვალიფიკაციის ამაღლება

ტრენინგები

ორგანიზაცია:	აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი,სტუ პროფესიული განვითარების ცენტრ
თემა:	Modern Methodologies in Teaching and Learningng
ქვეყანა:	საქართველო
თარიღი:	2018-11-30

ორგანიზაცია:	აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი,სტუ პროფესიული განვითარების ცენტრი
თემა:	სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის ზოგადი კურსი
ქვეყანა:	საქართველო
თარიღი:	2017-03-03

პროექტები და გრანტები

პროექტის/გრანტის დასახელება:	proeqti 249. saqarTvelos erovnuli samecniero fondis granti. Tema „miwisZvrisas karkasul Senobebis svetebSi dartymis efeqtis gaTvaliswineba“ 2007-2008 w. ZiriTadi Semsrulebeli. proeqti 5526. „navTobis naTeli fraqciebis gamosavlia-nobis gazrda da maTi gakeT
პოზიცია:	შემსრულებელი
დონორი:	რუსთაველის ფონდი
წამყვანი ორგანიზაცია:	კ.ზავრიევის სამშენებლო მექანიკის ინსტიტუტი
დაწყების | დასრულების თარიღი:	2008-09-07 - 2009-09-05

სამეცნიერო პროდუქტიულობა

Scopus
Cited Index / ციტირების ინდექსი: 4
H Index / H-ინდექსი: 1

Google scholar
Cited Index / ციტირების ინდექსი: 2
H Index / H-ინდექსი: 1

საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობა

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

კონფერენციები, სიმპოზიუმები, ჯილდოები

- 2010-06-07 - Conference, Experimental, Applied Mechanics; Experimental Mechanics of Higt performance Systems. June 7-10. Indianapolis, IN USA. 2010. pp. 28-29.
- 2010-10-08 - Georgian international Journal of Science and Technology. ISSN 1939- 5825. Volume 2, Number 1,Nova Science Publishers, Inc. pp. 63- 71. სამეცნიერო-ტექნიკურ
- 2012-10-02 - საერთაშორისო კომფერენციის შრომები სტუ, 2012. გვ. 262-272 II საერთაშორისო კომფერენციის შრომები ქ. ქუთაისი, 2012. გვ. 207-213 სამეცნიერო-ტექნ
- 2015-10-08 - მე-5საერთაშორისო კონფერენცია. ც.მირცხულავას წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი თბილისი 2015
- 2019-05-15 - მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი .სეისმომედეგობა და საინჟინრო სეისმოლოგია მოხსენებათა თეზისები 2019
- 2020-07-08 - Conference, Experimental, Applied Mechanics; Experimental Mechanics of Higt performance Systems

ენები

- ქართული
- რუსული
- გერმანული

კომპიუტერული უნარები

- kompiuteruli programebi Windows Ms Word Ms Excel Internet Explorer AutoCAD Лира.

დამატებითი ინფორმაცია

საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემია, ნამდვილი წევრი(2004. 27.ივნისი), საქართველოს საინჟინრო აკადემია. ნამდვილი წევრი 2007წელი

კრასნოდარის მხარის სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური პროგრესის აკადემია, ნამდვილი წევრი 2015წელი